ცნობის ფურცელი

№ 2283 კვირა, 5 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2283

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 5

ქართული თეატრი

ტელეფონი № 617

კვირას, 5 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

პატარა კახი

ისტ. დრამა 5 მოქმ. აკაკისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, ნ. ყიფიანისა, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, შალიკაშვილი, იორდანიშვილი, ციმაკურიძე.

ადგილების ფასი: პარტერში დაკლებულია, გალერეიაში ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 5 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ქიზნ ზა ცარია

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გლინკასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, კალილინა; ბ-ნნი: დარსკი, კლიუზნერი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: 6 ოქტ. იაფ-ფასიანი წარმოდგენა „რუსალკა“, დარგომიჟსკისა; მზადდება წარმ. „ფრანჩესკა და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი

იღებს მთხოვნელთა და ყველა იმ პირთ, რომელთაც მასთან საქმე აქვს, რკინის გზების მმართველობის შენობაში, **ოთხშაბათობით** ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-მდე. (3—6.—1)

იყიდება

მაშინა ქვევრებიდან ღვინის გადასაღები.

პუშკინის ქუჩაზე გოგიევთან. (1—161—1)

დამყნილი სანერგე

ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе (10—1718—4)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოვი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელ.ექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიან.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე-

საზღვარ-გარედ

ჩემბერლენის სიტყვა. ამას წინად ჩემბერლენმა შოტლანდიაში ქალ. გლასგოში სიტყვა წარმოსთქვა და თავისი სატამოჟნო პროგრამა დაწვრილებით გააცნო ხალხსა. ჩემბერლენმა მთელი $2^{1}/_{2}$ საათი ილაპარაკა; გაზეთებში იმისი სიტყვა მოკლედაა დაბეჭდილი. ორატორი რომ ტრიბუნაზე ავიდა, ხალხი ხანგრძლივის და ძლიერის ტაშისცემით მიეგება. ჩემბერლენმა სთქვა:

„თუმცა გლასგო თავისუფალ ვაჭრობის სამშობლოა, *) მე მაინც არ შევშინდი და თქვენს ქალაქში მოველ იმ აზრით, რომ თავისუფალ, უბაჟო ვაჭრობის წინააღმდეგ ვიბრძოლო. თქვენთან როგორც უბრალო გარეშე კაცი მოველ და არა როგორც პარტიის მეთაური (სიცილი). თქვენი კრებაც უპარტიო, პირუთვნელ კრებად მიმაჩნია. ჩემზე რაღაცა ხმები გავრცელდა, ამიტომ ეხლავე ვაცხადებ, თუმცა პარტიის წინამძღოლობიდან გადავდეგ, მაგრამ დღესაც პარტიის ერთგული მსახური ვარ (ტაშის ცემა). უნიონისტების პარტიის ძლიერება ბრიტანიის კეთილდღეობის საუკეთესო თავდებად მიმაჩნია. ამ პარტიას კარგი მეთაური (ბალფური) ჰყავს. პარტიას სრული უფლება აქვს, ამნაირ მეთაურით თავი მოიწონოს. მეც ამ მეთაურის ერთგული ვარ დღესაც, იმის აზრებს ვეთანხმები და იმის პოლიტიკას მხარს ვაძლევ (ტაშის ცემა). ამნაირ გაჭირვებაში დიდსა და სწორედ საკვირველ მამაცობასა და გამბედაობას იჩენს ბალფური. უკანასკნელ დროს მომხდარმა ამბებმა ჩემი და პირველ მინისტრის მეგობრობა ნამცეცადაც ვერ შეარყიეს. არას დროს არ მივცემ ჩემ თავს ნებას და ისე არ გავკადნიერდები, რომ ჩვენის პარტიის ღირსეულ მეთაურს მეტოქეობა გავუწიო (ტაშის ცემა). მე და პირველი მინისტრი მხოლოდ წვრიმალ საქმეზე, მხოლოდ მეთოდზე არ ვეთანხმებით ერთმანეთს. მე უფრო ოპტიმისტი ვარ და მინდა, რომ პირველ მინისტრზე ცოტა უფრო მეტი გავბედო და მეტი მოვითხოვო, მინდა, რომ იმისი ოფიციალური პროგრამა გავაფართოვო. არ დაგიმალავთ, რომ გლასგოშიაც სწორედ ამ აზრით მოველ: მინდა გავიგო, იქნება ჩვენი ხალხი მთავრობის პროგრამის გაფართოვებას დასთანხმდეს. (ზოგი „ჰო“-ს ყვირის, ზოგიც „არა“-ს). მე ვთხოვ ჩემ თანამემამულეებს, ამ უდიდეს საქმეს კარგად დაუფიქრდნენ, მიუდგომლად გაარჩიონ და თუ შეიძლება, რამე გარკვეული განაჩენი დაადგინონ. ამაზე დიდი საქმე ეხლა სხვა არა აქვს-რა ჩვენს ქვეყანას.

აი საქმე რაშია. ჩვენს ვაჭრობას დაცემის ნიშნები ეტყობა. ჩვენის დიდებულ შენობის კედლები აქა-იქა სკდება, პირს აღებს. აქედან სჩანს, რომ შენობის საძირკველი ან საკმაოდ განიერი არა ყოფილა, ან საკმაოდ ღრმა არაა. საქმე ასე გახლავთ. ინგლისის ვაჭრობა უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში წინ არ მიდის, ერთ დონეზე დგას. რაც ეხლა ბრიტანიას საზღვარ-გარედ საქონელი გააქვს, მხოლოდ 20 მილიონ გირვანქა სტერლინგით მეტი ჰღირს იმაზე, რაც 30 წლის წინად გაჰქონდა, ესე იგი დაახლოვებით $7^{0}/_{0}$-ით მეტი, როდესაც ჩვენ ხალხს $30^{0}/_{0}$ მოემატა. ამავე ხნის განმავლობაში შეერთებულ შტატებს 110 მილიონისა მეტი საქონელი გააქვს საზღვარ-გარედ, გერმანიას—56 მილიონისა. ამასთანავე ინგლისს საზღვარ-გარედ უფრო და უფრო ნაკლები საქონელი გაჰქონდა, კოლონიებში კი უფრო და უფრო მეტი, მაგრამ ეს ვაჭრობა სულ არ შეეფერება ჩვენის ხალხის გამრავლებას. პირიქით, უცხოეთიდან უფრო და უფრო მეტი საქონელი შემოჰქონდათ: 30 წლის წინად უცხო ქვეყნებიდან 63 მილიონის საქონელი შემოდიოდა ინგლისში, ეხლა-კი 149 მილიონ გირვანქა სტრელინგისა შემოდის. თუ ჩვენი ვაჭრობა კოლონიებთან ჩვენის ხალხის გამრავლების შესაფერისად არ გაიზრდება, თუ ჩვენ ვაჭრობას უცხო ქვეყნებთან წინანდებურად თან-და-თან დააკლდება, ინგლისი უსათუოდ დაეცემა და მეხუთე ხარისხის სახელმწიფოებს გაუთანაბარდება. ინგლისსაც ის ბედი ეწევა, რაც წარსულ დროის იმპერიებს ეწვიათ. ჩვენი შინაგანი ვაჭრობაც უსათუოდ დაეცემა, თუ თავის დროზე რამე ღონეს არ ვიღონებთ და საქმეს არ ვუშველით. მაგრამ მე არა მჯერა, რომ ჩვენც ასეთი სამწუხარო ბედი გვეწვიოს. კოლონიები მზად არიან დახმარება გაგვიწიონ და ჩვენს საქონელს ზომიერი შეღავათი მისცენ. თუ ჩვენს საქონელს კოლონიებში ეს შეღავათი მიეცემა, მაშინ კოლონიები უცხოეთის საქონლის მაგიერ ჩვენს საქონელს იყიდიან და ამნაირად, ჩემის ანგარიშით, უცხოელებს 26 მილიონ გირვანქა სტერლინგს ხელიდან გამოვგლეჯთ, 750 ათას ინგლისელს ახალი საქმე გაუჩნდება და ეს საქმე 4 მილიონ სულს ასაზრდოვებს. ასე რომ შეღავათიან ბაჟების დაწესება დიდ სარგებლობას, დიდ ხეირს შესძენს ინგლისს. მაგრამ ამ საქმეში მარტო სარფასა და ხეირს როდი უნდა ვუცქიროთ. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ კოლონიები უფრო მჭიდროდ დავიახლოვოთ, უფრო დავიმეგობროთ. როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა ვითავოთ? კოლონიები თავიანთ საქონლისათვის სატამოჟნო შეღავათს გვთხოვენ. რა საქონლისათვის თხოულობენ? ცხადია, რომ ფაბრიკის ნაწარმოებისათვის არა თხოულობენ, რადგან კოლონიებს მეტად ცოტა ფაბრიკის ნაწარმოების გააქვთ გარედ; არც ხამ, დაუმუშავებელ მასალისათვის თხოულობენ, რადგან ეს ხამი მასალა აუცილებლად საჭიროა ჩვენის საფაბრიკო მრეწველობისათვის. რაღა დარჩა? პური და სანოვაგე-ღა დარჩა. ამნაირად, თუ გვინდა რომ კოლონიებს სატამოჟნო შეღავათი მივსცეთ, ამით დავიახლოვოთ და იმპერიის განაწილება თავიდან ავიცილოთ, პურსა და სანოვაგეს უსათუოდ ბაჟი უნდა დავადოთ (ტაშის ცემა). ვიცი, რომ ეს თქვენთვის ახალი ამბავი არაა: ჩემი მოწინააღმდეგენი დიდის ამბით ლაპარაკობდნენ ყველგან, ჩემბერლენი ხალხის საჭმელს ბაჟებს ადებსო; ეგ არის, იმას კი აღარ უმატებდნენ, რომ ის, რასაც მე გირჩევთ, არც ერთს ინგლისელ მუშას და არც ერთს ინგლისელ ოჯახს მთელს შეერთებულ სამეფოში (ინგლისსა, შოტლანდიასა და ირლანდიაში), ერთის გროშით რა არის, ერთის გროშითაც კი არ გაუძვირებს ცხოვრებას. როგორ მოვახერხოთ ესა? მეუბნებიან, ამაზე დაწვრილებითი, გარკვეული პლანი წარმოგვიდგინეო, ის კი აღარ იციან, რომ ამნაირ პლანის შედგენა მხოლოდ მთავრობას შეუძლიან. მთავრობა ჯერ კოლონიებსა, უცხოეთის სახელმწიფოებსა და ჩვენის მსხვილ მრეწველობის მცოდნე წარმომადგენლებს უნდა მოელაპარაკოს ამ საქმეზე და მერე განსაზღვრული სატამოჟნო პროექტი შეადგინოს. ამიტომ ჩემს პროექტს მხოლოდ მოკლედ, ორიოდე სიტყვით გაგაცნობთ.

ჩემის აზრით, უცხოეთიდან მოტანილ პურს მცირე ბაჟი უნდა დაედოს, თითო კვარტერ პურზე—2 შილინგი, ინგლისის კოლონიებიდან მოტანილი პური და სიმინდი კი თავისუფალი უნდა იყოს. უცხოეთის ფქვილსაც შესაფერისი ბაჟი უნდა დაედოს, ისეთი, რომ ჩვენებურ მეწისქვილეებს კარგი უპირატესობა მიეცეს და ეს ძველი მრეწველობა ჩვენში ისევ გაძლიერდეს. მერე, ჩემის აზრით, უცხოეთის ხორცსა, რძესა, ყველსა და ერბოს 5 პროცენტიანი ბაჟი უნდა დაედოს, ღორის ქონი-კი, როგორც ჩვენის ღარიბ ხალხის საყვარელი საჭმელი, უბაჟოდ უნდა შემოდიოდეს. დასასრულ, ჩემის აზრით, ჩვენის კოლონიების ღვინოსა და, შეიძლება, ხილსაც თვალსაჩინო სატამოჟნო უპირატესობა უნდა მიეცეს. აი, ასეთ ახალ გადასახადების დაწესებას, ანუ ძველის გადასახადების შეცვლას გირჩევთ მე თქვენა. მაგრამ ამავე დროს გირჩევთ, რომ ზოგიერთ გადასახადს შესამჩნევად მოვაკლოთ, მაგალითად: ჩაის ბაჟს $^{3}/_{4}$ მოაკლდეს, შაქრის ბაჟს ნახევარი; კაკაოსა და ყავასაც ამის შესაფერისად უნდა მოაკლდეს. რა შედეგი მოჰყვება ამ ცვლილებას: მართლა ცხოვრებას გაუძვირებს ვისმეს? ან რა სარგებლობას მოუტანს სახელმწიფო ხაზინას? ეს საქმე რომ რიგზე შევისწავლოთ და ავწონ-დავწონოთ, გავიგებთ, რომ სოფლის მუშას კვირაში $^{1}/_{4}$ ფარტინგით ნაკლები დაეხარჯება, ვიდრე ეხლა ჰხარჯავს, ფაბრიკის მუშას კი სწორედ იმდენივე დაეხარჯება, რამდენსაც ეხლა ჰხარჯავს. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისელებს ხარჯი სრულებით არ მოემატებათ. საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ ამ ბაჟებს სულ უცხოელებს დავაკისრებთ. მართალია ხაზინას წელიწადში 2,8 მილ. გ. სტ. დააკლდება, მაგრამ ამ ზარალის შევსებაც ადვილია: ამისათვის საკმარისი იქნება, უცხო სახელმწიფოებს სამაგიერო გადავუხადოთ და იმათ ფაბრიკის ნაწარმოებს ბაჟები დავადოთ. ამ ბაჟებიდან ხაზინას 2,8 მილ. გ. სტერლინგზე მეტიც შემოუვა. რაკი მეტი შემოსავალი ექნება, ხაზინას ადვილად შეუძლიან პურსა და სანოვაგეს ბაჟი მოაკლოს და ზოგიერთი მძიმე გადასახადი შეამსუბუქოს“.

ჩემბერლენმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „იმპერიის ერთიანობასა და ძლიერებას ვიცავ. იმედი მაქვს, ჩვენი ხალხი რაღაც უაზრო ცრუმორწმუნეობის გულისთვის საფრთხეში არ ჩააგდებს ჩვენის დიდებულ იმპერიის ბედსა“.

---

*) განთქმული ეკონომისტი და თავისუფალ ვაჭრობის მომხრე ადამ სმიტი გლასგოს უნივერსიტეტის რექტორად იყო.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ხმა გავრცელდა, რომ გზების უფროსი **ინჟ. ივანოვსკი სხვაგან გადაჰყავთო.** როგორც „ვესტ. ზაკავ. ჟელ. დორ“. აცხადებს, ეს ხმა სიმართლეს მოკლებულია.

◆ როგორც „კავკზ.“-ს ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი **შესტაკოვი დაინიშნა** ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრ-საქმის მწარმოებლად.

◆ გურიელებსა და შატილელებს (პირიქით ხევსურეთში) შორის **კვლავ მომხდარა**

შეტაკება. გუროელებს ორი შატილელი დაუჭრიათ.

◆ დღეს **ჭიათურაში მოხდება** შავის ქვის მრეწველთა კერძო კრება შავის ქვის საქმეების გამო მოსალაპარაკებლად.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა**, რომ რკინის გზის დეპეშების შინაარსი არ აცნობონ ხოლმე გაზეთებს. ვისაც შენიშნავენ, სამსახურიდან დაითხოვენ.

◆ „ტიფ. ლისტ.“-ს ქუთაისიდან სწერენ: „27 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სათავად-აზნაურო საკრებულოს დეპუტატად ნამყოფის კ. დ. მაჭავარიანისა, რომელსაც **ყალბ-მოწმობის შედგენა ჰბრალდებოდა.** სასამართლომ დამნაშავედ იცნო მაჭავარიანი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ერთის წლით ტუსაღთა როტაში გაგზავნა“.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრმა ნებადართო ხატისოვსა და ბრაილოვსკის **სოლოლაკის გორის ქვეშ გათხარონ ტუნელი.**

◆ 2 ოქტომბერს პოლიციის დარაჯმა ნავთლუღის გზაზე **დააპატიმრა** ყაჩაღები ალი-მოლა-მაჰმედ-ოღლი და კოდინ-იუსუპ-ოღლი. დაპატიმრებულებმა ამას წინად ყარაიაზში გაძარცვეს ვაჭრები: წაართვეს ფული, 5 ცალი ხარ-კამეჩი და გაიქცნენ. ყაჩაღები დააპატიმრეს.

◆ 3 ოქტომბერს, საბჭოს საფინანსო კომისია შეუდგა ქალაქის 1904 **წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვის** განხილვას. კომისიამ განიხილა ექვსი მუხლი და შეუცვლელად მიიღო გამგეობის მიერ ნავარაუდევი შემოსავალი.

◆ 3 ოქტომბერს **ხორცის დუქნების** გამგე კომისიამ განიხილა ბ-ნ ალიხანოვის მოხსენება. მოხსენება შეეხება იმას, თუ ქალაქის დუქნებს რად მოუვიდათ 29,000 მანეთის ზარალი. ალიხანოვი, სხვათა შორის, სწერს, რომ ქალაქის დუქნებისთვის ძალიან ძვირად ვყიდულობდი საკლავ საქონელს, ხოლო საბჭოს გადაწყვეტილებით ხორცის ნიხრი ისეთი მცირე იყო, რომ დუქნები ზარალობდნენ.

◆ ამ დღეებში ქალაქის ქუჩებზე ხეების გამშენებელმა და ბაღების მეთვალყურე კომისიამ მოხსენება წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას გადადებულ იქნეს საჭირო ფული, ავლაბარში გამართულ იქნეს პატარა ბაღი და აგრეთვე ტროიცკის სოფელი გაშენებული იქნეს ხე-ტყით. ეს შუამდგომლობა განიხილა საფინანსო კომისიამ, მოიწონა იგი და საჭიროდ სცნო ამ საქმისთვის განზრახულ ფულის გადადება ქალაქის კასიდან. ეს მოხსენება გამგეობისაგან ახლო მომავალში წარედგინება საბჭოს განსახილველად.

◆ პურის მცხობელ ქარხნის პატრონის კანდაუროვის წარმომადგენელმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება მიეცეს კანდაროვს ქალაქის ხორცის დუქნებთან მოაწყოს **პატარა ფარდულები** პურის გასასყიდად. ხორცის დუქნების გამგე კომისიამ სასურველად სცნო ამ საქმის განხორციელება.

◆ დღეს, 5 ოქტომბრისთვის, წირვის შემდეგ 12 საათზე დანიშნულია კრება მთაწმინდის მამა დავითის ეკკლესიის მრევლისა დასაწესებლად სამრევლო სამზრუნველოისა და ამოსარჩევად ახალ მნათესი. კრება მოხდება მთაწმინდის სამრევლო სკოლის შენობაში (მთაწმინდის ქუჩა, საკუთარი სახლი, №-24).

◆ მივიღეთ ორი ახალი წიგნაკი: 1) „ბედკრულთა მეგობარი (ექიმი გააზი)“, გამოცემა 3. გადილაძისა (№-3), 29 გვერდი, ფასი 5 კაპ., 2) შოთა რუსთაველის თხზულებანი, რუსულად გადათარგმნილი მ. ჯანაშვილის მიერ, 16 გვ., ფასი 5 კაპ.

◆ მოსკოვის ქუჩაზე, გორლოვის სახლის სარდაფში, 3 ოქტომბერს ჰნახეს გვამი ტფილისის მცხოვრების სამოცის წლის მოხუცის ნიკოლოზ შეპოვალენკოსი. გვამი გასინჯეს. როგორც აღმოჩნდა, იგი ვიღაცას უნდა მოეკლას: რაღაც იარაღით საფეთქელთან თავი გაჩეხილი ჰქონია. როგორც პოლიციამ გამოარკვია, შეპოვალენკოსთან ერთად სცხოვრობდა ვასილ ვასილიევი. ამ დღეს ორივენი მთვრალები ყოფილან, რაღაცაზედაც მოსვლიდათ ჩხუბი, რომლის დროსაც ვასილიევს ქვა დაურტყამს შეპოვალენკოვისათვის და იქვე მოუკლავს. მკვლელი უკვე გამოტყდა.

◆ პირველ იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ქალაქის კასაში შესულა: დასათასებელ გარდასახადისა 352,519 მან. 60 კაპ., სატრაქტირო გარდასახადისა—82,869 მან., ცხენებისა და ეტლების გარდასახადისა—37,420 მან., საიჯარო გარდასახადისა—43,224 მან. 52 კაპ., ქალაქის წყლის მილისა—154,962 მან. ქალაქის საყასპოდან 39,315 მან. 64 კაპ., ქალაქის საქონლის სადგომ ბაკიდან—14,552, ქალაქის წყლის მილის სახელოსნოდან—19,921 მან.

◆ გუშინ, 4 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ საბებიო ინსტიტუტის დირექტორისაგან მიიღო იმ კანდიდატთა სია, რომელნიც დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე დაარსებულ სტიპენდიებს (ორია) თხოულობენ.

—

„ცნ. ფ.“-ს დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ სურათებიან დამატების მე-156 № შემდეგის შინაარსით: „ყაჭობა“ (დასასრული) (სურათი გურიის ცხოვრებიდან). ნინო ნაკაშიძისა. სურათები: „ქარიშხალი ზღვაზე“, ვინერისა; „ერთი ხნის მეგობრები“, მიულერისა; „წმ. გიორგი“, ქანდაკება ფერრისა; კარიკატურა.

შინ და გარედ

17.

პოლიტიკური ჰორიზონტი საშიშრად მოიღრუბლაო, ასე ამბობენ ხოლმე დიპლომატები, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკაში რომელიმე საქმე მეტის-მეტად გამწვავდება. სწორედ დღევანდელ დღეზე უნდა ვთქვათ ასე, რადგან დიდი ხანია ამდენად არ გაფუჭებულა ურთიერთობა დიდ სახელმწიფოთა შორის, რამდენად დღეს მოხდა ეს რუსეთსა და იაპონიას შუა.

მკითხველებმა იციან უკვე დეპეშებიდანა და უცხოეთის ქრონიკიდან, რა არის უახლოესი მიზეზი დღევანდელ კრიზისისა. ჩინეთთან უკანასკნელ ომის შემდეგ რუსეთი დაეპატრონა მანჯურიას იმ განზრახვით, რომ ამ ქვეყანაზე ხელს აიღებს, როგორც-კი მშვიდობიანობა დამყარდება ჩინეთში და რუსეთის საზღვრები უზრუნველყოფილნი იქნებიან. სხვა სახელმწიფოები ეჭვითა და პროტესტით მიეგებნენ რუსეთის ასეთს განცხადებას და თხოულობდნენ მანჯურიის დატოვებას. მაშინ რუსეთმა ოფიციალურ დეკლარაციით პირობა დასდო, რომ 1903 წლის ოქტომბრის დასაწყისში გაიყვანს ჯარს მანჯურიიდან. დადგა ეს დროც, მაგრამ რუსის ჯარი ისევ მანჯურიაშია. რასაკვირველია, რუსეთის მთავრობა ისევ მტკიცედ არის თავის გადაწყვეტილებაზე და მანჯურიაზე ხელს აიღებს, მაგრამ ჯერ ამის ასრულება ადრეულად მიაჩნია, რადგან „ჩინეთი ისევ შფოთშია და ჩვენი საზღვრები ისევ საშიშარ მდგომარეობაში არიანო“.

დიდ სახელმწიფოთა შორის ჩინეთს შემდეგ ყველაზედ უფრო დაინტერესებულია ამ საქმით იაპონია. ეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც საარაკო სისწრაფით განვითარდა ეკონომიურად და პოლიტიკურად, კარგა ხანია ვეღარ ეტევა თავის ქერქში და ცდილობს ეკონომიურ გაბატონებას შორეულ აღმოსავლეთში. ამისთვის მან ომიც აუტეხა ჩინეთს და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ შურიანმა და ცოტა არ იყოს იაპონიის ზრდით შეშინებულმა ევროპამ ნება არ მისცა გამარჯვებულს სავსებით ესარგებლა თავის მდგომარეობით: ევროპამ თამამად წამოაყენა მაშინ პრინციპი—ჩინეთის ტერიტორია ხელ-უხლებელი უნდა იყოსო. იაპონიამაც დასთმო, მაგრამ თავისი განზრახვა არ მიუტოვებია. პირიქით, ის უფრო მხნედ შეუდგა მუშაობას, ბოლოს დროს დაუახლოვდა კიდეც ჩინეთს, ემზადება თითონაც, ამზადებს ჩინეთსაც იმ დროისთვის, როცა გარემოება ხელს შეუწყობს თავის დიადის პლანების ასრულებისათვის.

თქმა არ უნდა, რომ იაპონიის პლანებს ძალიან უშლის ხელს რუსეთის გაწევა შორეულს აღმოსავლეთისაკენ. ამიტომაცაა, რომ იაპონია გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის ყოველს ნაბიჯს და სცდილობს შეაჩეროს თავისი ძლიერი კონკურენტი. მანჯურიის ხელში ჩაგდება რუსეთის მიერ დიდი დამარცხება იქმნება იაპონიის პოლიტიკურ მისწრაფებათა. ამით აიხსნება ის გამწვავებული კილო, რომლითაც ლაპარაკობს დღეს ოფიციალური და არა ოფიციალური იაპონია, და ის მზადებაც საომრად, რომლის შესახებ სარწმუნო ხმები მოდის იმ შორეულ ქვეყნიდან. ამავე დროს არც ჩინეთია გაჩუმებული: იქაც ხმა მაღლა ლაპარაკობენ რუსეთის წინააღმდეგ და სიჩქარით ისხამენ თოფ-იარაღს.

რით გათავდება ეს კრიზისი? აი საკითხი, რომლით დღეს მთელი განათლებული ქვეყანაა აღელვებული. რუსეთს გადაწყვეტილი აქვს დროებით განაგრძოს მანჯურიის ოკუპაცია და, როგორც სჩანს, ამ გადაწყვეტილებას უარს ვერ ჰყოფს თავისი პრესტიჟისა

ფელეტონი

—

პატარა ამბები

ერთის საუბრის გამო.—როდის უფრო
უნდა გვიყვარდეს მშობელი ქვეყანა?—
საყურადღებო განცხადება.

ერთი კარგი ნაცნობი მყავს, კაცი განათლებული, სპეციალისტი, მცოდნე თავის საქმისა და იშვიათის ენერგიის და შრომის პატრონი. რუსეთში დაამთავრა სწავლა, რამდენსამე წელიწადს პეტერბურგში მუშაობდა საგნის სიყვარულით გატაცებული და სინდისიერის და სერიოზულის მუშაკის სახელი დაიმსახურა იქაურ საზოგადოებაში. თითქოს ყველაფრით კმაყოფილი იყო: საქმე, პატივისცემა, ხელის შემწყობი პირობები, წინსვლა, შედარებით კულტურული წრე,—ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც მის გულის სიღრმეში დამარხული იყო ერთნაირი უკმაყოფილება, რომელიც წარმოსდგებოდა სამშობლოსაკენ მისწრაფებისაგან, სამშობლო მხარეს მოშორების სევდისაგან, იმ სურვილისაგან, რომელიც თითქმის ფიზიკურ მოთხოვნილებად გადაქცეულა, რომელმაც არ იცის მანძილის სიშორე და ასი ათასი ვერსიდან გვაიძულებს, გამოვეშუროთ სამშობლოსაკენ, თუნდა იგი გაუნათლებელი იყოს, ღატაკი, შიშველი და მშიერი. „არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა! არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.!“ ეს ჰიმნი მამულის სიყვარულისა საყოველთაო კანონია ყოველის ადამიანისთვის, ვინც გრძნობს ცხოვრებას.

ბედმა გაუღიმა ჩემს ნაცნობს: სურვილი აუსრულდა, მისი საქმე ისე მოეწყო, რომ გადმოსახლდა უცხოეთიდან, დაბინავდა სამშობლო ქალაქში, დაბინავდა, გაიარ-გამოიარა, მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და...

ამ დღეებში შემხვდა ჩემი ნაცნობი და მწარედ შემომჩივლა:

„რომ იცოდე, რა ხდება ამ ჟამად ჩემს გულში, როგორ ვიტანჯები, რა სევდა შემომაწვა! რომ მცოდნოდა ასეთი საქმე დამემართებოდა, პეტერბურგიდან ფეხს დავძრავდი?“

მე გამიკვირდა და გაოცებით ვკითხე: „რა ამბავია, რა შეგემთხვათ მეთქი?“—„ისეთი არაფერი, შემთხვევით არაფერიც არ შემმთხვევია. მაგრამ... სულ სხვანაირი წრეა აქ, სულ სხვანაირად სცემს ცხოვრების მაჯა. აქაური ცხოვრება რამდენიმე გრადუსით დაბლაა პეტერბურგთან შედარებით. აქ არ არის ისეთი გონებრივი ინტერესები, ის საზოგადოებრივი ცხოვრება, ის სიახლოვე მსოფლიო ცხოვრებასთან, როგორც იქ. აქ არ უყვართ საქმე თავგამოდებით, არა აქვთ საგნის ცოდნა, ხოლო ზეზეურად, გაკვრით ეხებიან ყველაფერს, აქაური ინტელიგენცია რაღაც ვიწრო, ეგოისტურ ინტერესებით არსებობს მარტო. პეტერბურგში თქვენ გრძნობთ თავისუფლებას, თუმცა იგი არ არის იქ, როგორც არ არის აქ. საკმარისია დაესწროთ იქ რომელსამე საზოგადოებას გინდ საჯაროს, გინდ კერძოს, რომ იმედმა და სასოებამ შემოაშუქოს თქვენს გულში. იქ ხედავთ მუშაობას და რაც უნდა ურწმუნო იყოთ, მაინც დაიჯერებთ, რომ ეს მუშაობა ნაყოფს გამოიღებს...

„მე დავდივარ აქ, გაფაციცებით ვადევნებ ყველაფერს თვალ-ყურს, დავეძებ აზრს, მოძრაობას, მაგრამ ვეღარსად ვხედავ. საზოგადო შეკრებულებაში—მე ვამბობ კერძო ოჯახურ შეკრებულების შესახებ, საზოგადო კრებების შესახებ ლაპარაკიც არა ღირს—გაოცებთ ადამიანს ზეზეური, არა მეცნიერული აზრები. ყველანი ერთსა და იმავე დაძველებულს ცნებებს იმეორებენ, როგორც მწერლობაშიაც; არავინ არ სცდილობს საგანს ღრმად ჩაჰხედოს შიგნით, გამოიკვლიოს სავსებით. აიღეთ, აი თუნდ ასეთი ელემენტალური და მასთანავე ჩვენთვის დიდათ მნიშვნელობიანი მოვლენა, როგორიც არის დედა-ენის გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე, აბა ვინმემ გამოიკვლია და დაასაბუთა ეს საგანი მეცნიერულად? მთელი მსჯელობა ჩვენის მწერლობისა დედა-ენის შესახებ არის გაუთავებელი ლექვა ერთისა და იმავე სიტყვებისა. „რა ენა წახდეს,—ერიც დაეცეს; წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“, ყველა ამას იმეორებს. ეს იმას ჰშნიშნავს, რომ ურწმუნო ადამიანს არწმუნებდე სამღვთო წერილის ციტატებით. აიღეთ ისტორია. განა შესაძლებელია, რომ ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერს არ აინტერესებდეს და არ აინტერესებდეს ნამეტნავადაც თავისი წარსული? მაგრამ არამც-თუ არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენის ისტორიის შესახებ ქართველს საზოგადოებას, იმ ორიოდე ქართველ ისტორიკოსსაც არ შეუსწავლიათ საგანი საფუძვლიანად. არ არის მოთხოვნილება სერიოზული ცოდნისა.

„არ-ცოდნა არ-ცოდვაო. არ-ცოდნას შეურიგდები ადამიანი ასე თუ ისე. შეურიგდები იმ გარემოებას, რომ ქუჩაში გავლაც კი გეზარებათ, რადგან ერთს ადამიანსაც ვერ შეხვდებით, რომლის თვალები გაებრწყინვალებინოს და შუბლი გაელამაზებინოს ჭეშმარიტების ძიების წყურვილს. სამწუხარო ყველაზე უმეტესად ის არის, რომ აღარ სჩანს არსად გულის ტკივილი, ნაღველი, ის კეთილშობილური, მაღალი გულის წყრომა, რომელიც მოწინააღმდეგესაც-კი აღუძრავს პატივისცემას. თუ არ არის უკმაყოფილება ცუდის მდგომარეობით, შეიძლება ამ მდგომარეობის თავიდან მოშორება? ქართველს საზოგადოებას არ გაჯდომია ძვალსა და რბილში შეგნება თავის სულ-შეხუთულ ცხოვრებისა, ის არ გრძნობს, თუ რამდენად დახშულია ის ჰაერი, რომლითაც საზრდოობს. ქართულს ენას არ ასწავლიანო! მე არსად არ გამიგონია ეს სიტყვები გულის სიღრმიდან წარმოთქმული, გამსჭვალული გრძნობებით. წარმოთქმაც არ არის ხშირად საჭირო მგრძნობიარე და კეთილ-შობილის გულისათვის: სახე და მდუმარება უფრო ბევრს იმეტყველებს, ვიდრე მშრალი ენა. ერთად ერთი აკაკის ლექსი ვიცი ამ ბოლო დროს, სადაც მართლაც გულ-წრფელად არის ნაგრძნობი პოლიტიკური მდგომარეობა, ეგ არის „ებრაელთა გოდება“, მაგრამ აქ პოეტი იმეორებს, რაც მრავალჯერ უთქვამს...

„დამაღონებელი ისაა, რომ ადამიანი საძაგელ პირობებში ცხოვრობს, ირყვნება, იღუპება და ამასთანავე დაუკარგავს ამ უვარგის პირობების შეგნების ნიჭი. ქართველი საზოგადოების მამულისშვილობა მხოლოდ თეატრში სჩანს, ვიდრე ქართულს დროშას ხედავს და ქართველი აქტიორები გაიძახიან: გაუმარჯოს საქართველოსო! მერე კი აღარსად ეტყობა მას თვითცნობიერება და თუ სადმე გამოთქვამს უკმაყოფილებას რისიმე წინაამდეგ, ისე უგულოდ, უგრძნობლად, ულონოდ, რომ მარტო ზიზღს თუ აღძრავს თავისთავისადმი!

„განსაკუთრებით მაკვირვებს ქართველი ინტელიგენცია. სად არის, რას აკეთებს! მართალი უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ხალხს კარგად არ ვიცნობ. წინათაც არ ვიყავი დაახლოვებული მის ცხოვრებაზე, მით უმეტეს მოვშორდი უცხოეთში ყოფნის დროს, საიდანაც ცოტათ თუ ბევრად ვადევნებდი თვალ-ყურს ინტელიგენციის ცხოვრებას, ხალხისას კი სრულებით ვერა. ბარე ორჯერ თეატრში ვიყავი და ყველაზედ უწინარეს თვალში მეცა, რომ ინტელიგენცია სრულებით არ იყო თეატრში. რითი აიხსნება ეს გარემოება? ქართველი ინტელიგენცია ქართულ თეატრზე უფრო განვითარდა, თუ ჩამორჩა საზოგადო ცხოვრებას და ინტერესი არა აქვს საზოგადოებრივ, ეროვნულ ცხოვრებისა? მე მგონია, მართალია უკანასკნელი, თუ მივიღებთ მხედველობაში ზემონათქვამს.

„ასეა!...მე მოვეშურებოდი აქეთ, მშობელ ქვეყნის სიყვარულით გატაცებული. ჩემი ოცნება წარმომიდგენდა მას არა მშვენიერს და ლამაზს მარტო, არამედ მშრომელს, სიცოცხლით სავსეს. მე არ მაშინებდა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი არა ნორმალური ბედი: სიცოცხლე ყველაფერს დასძლევს მეთქი. მოვდიოდი აქეთ და გზაში სიხარულისაგან მოსვენება არა მქონდა; შეყვარებულ ადა-

და ღირსების დაუმცირებლად. მეორეს მხრით, ვერც იაპონია დაიხევს უკან, რადგან მისი ინტერესები იჩაგრება და არც სწამს, რომ რუსეთი გულწრფელად ჰფიქრობდეს მანჯურიის დატოვებას. დღევანდელ დეპეშიდან მკითხველი დარწმუნდება, რომ იაპონია დაჟინებით თხოულობს რუსეთისაგან პირობის ასრულებას; მაშასადამე, მასაც, როგორც რუსეთს, აღარ შეუძლია უარჰყოს გადაწყვეტილება თავის პრესტიჟისა და ღირსების შეულახველად. ორთავე სახელმწიფოს დიპლომატია ენერგიულად მუშაობს და შესარიგებელ ღონისძიებას ეძებს, მაგრამ ჯერ ვერაფერი გაარიგა. დაბეჯითებით არავის შეუძლია სთქვას, მოიძებნება ასეთი ღონისძიება თუ ომი ატყდება, თუმცა ყოველივე გვეუბნება, რომ უკანასკნელია უფრო მოსალოდნელი. მაგრამ იმის თქმა-კი არ არის ძნელი, რომ, თუ დღეს მორიგება მოხდა, ყოველ შემთხვევაში მას ფასი არ ექნება: რუსეთი და იაპონია უთუოდ გაუმკლავდებიან ერთმანეთს, რადგან ორივე მოწადინებულია ერთსა და იმავე ადგილებში დაამყაროს სრული თვისი გეგემონია.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „კურიერ“-ი გვაუწყებს, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან თურმე იაროსლავში კონდუქტორები და კუჩრები. მუშაობენ მთელის დღის განმავლობაში დილის 6 საათიდან საღამოს 9—10 საათამდე და ამდენ შრომისათვის იღებენ 90 კაპ.—1 მანეთს. ამასთანავე გამწვავებულია დამოკიდებულება ტრამვაის ადმინისტრაციასა და მოსამსახურეთა შორის. მოთმინებიდან გამოსულმა მოსამსახურეებმა მიჰმართეს მთავრობას თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ადგილობრივ საქარხნო საქმეთა საკრებულოში შეიტანეს თხოვნა, რომ ტრამვაი დაუქვემდებარონ საქარხნო ინსპექციას. მაგრამ ინსპექციამ უყურადღებოდ დასტოვა მოსამსახურეთა თხოვნა. მოსამსახურენი ჰფიქრობენ, მიართვან თხოვნა გუბერნატორს, მაგრამ საქარხნო ინსპექცია არ აძლევს თავის გადაწყვეტილების პირს. ძნელი სათქმელია, გაიტანენ თავისას მოსამსახურენი თუ არა, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ადმინისტრაციამ მიჰყო ხელი იმ კონდუქტორების სამსახურიდან დათხოვნას, რომელთაც თხოვნას ხელი მოაწერეს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში ცნობები მოდის, რომ სამხრეთ-რუსეთის გუბერნიებიდან აუარებელი გლეხები მიდიან ციმბირში დასასახლებლადაო. ამისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს, ძირითადი ცვლილება მოახდინოს არსებულ გადასახლების წესებში. თუ როგორი იქმნება ეს ცვლილება, ჯერ კარგად არ არის გამორკვეული.

◆ თავადი მეშჩერსკი გაზეთ „გრაჟდანინ“-ში აცხადებს, რომ რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტის გზათა სამინისტროს უწყებაში გადასვლის გარდა, ხმა დადის, რომ ფინანსთა სამინისტროს დანაწილება კიდევ უნდა განაგრძონო. მაგალ., სავაჭრო და სამრეწველო უმაღლესი სამმართველო სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროდ უნდა გადაკეთდესო, ფინანსთა სამინისტროს ყველა სასწავლებელი საერო განათლების სამინისტროს უნდა გადაეცესო, უნდა დაარსდეს ცალკე ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო და საგლეხო ბანკები შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გადაეცეს.

◆ ორენბურგში განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა საკითხი მასწავლებელ ვაჟთა და ქალთა თვით-განვითარების შესახებ. კომისია საჭიროდ სცნობს: 1) გაჰმართონ მასწავლებელთათვის ცენტრალური ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის გამართვამდის-კი იშუამდგომლონ, რომ სოფლისა და ქალაქის მასწავლებელთ ნება მიეცეთ, ისარგებლონ საქალაქო ბიბლიოთეკით; 2) მოაწყონ სისტემატიურად წიგნების გზავნის საქმე სოფლის მასწავლებელთათვის ცენტრალურ ბიბლიოთეკიდან; 3) მოწყონ სალიტერატურო და სამეცნიერო კურსები და ლექციები. 4) იშუამდგომლონ, რომ მასწავლებელთ ნება მიეცეთ უფასოდ მგზავრობისა, ან დაკლებულის ტარიფით; 5) დააარსონ სამეცნიერო და სალიტერატურო ოჯახური წრეები; 6) გამოსცენ სამეცნიერო და სალიტერატურო ორგანო. საზოგადო კრებამ ერთ-ხმად მიიღო კომისიის მოხსენება. წინააღმდეგი იყო მარტო ორენბურგის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორი ტარნოვსკი. ამან კურსებისა და ლექციების გამართვა მეტად ჩასთვალა. განაცხადა, რომ საზოგადოებამ უნდა იზრუნოს მხოლოდ ნივთიერად ურთიერთ დახმარებისათვის, და სთხოვა კრებას, შეიტანოს ოქმში, რომ ის, როგორც დირექტორი, მასწავლებელი და ადამიანი სასტიკ პროტესტს აცხადებს კომისიის მოხსენების წინააღმდეგ.

◆ „პრავიტელსტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება: „პეტ. ვედომოსტი“-ს მავნე მიმართულებისა გამო, რომელიც უფრო აშკარად გამოირკვა 26 სექტემბრის ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილში, შინაგან საქმეთა მინისტრმა წესდების მე-144 მუხლის ძალით დაადგინა: გამოეცხადოს „ს.-პეტ. ვედ.“-ის გამომცემელს თავად უხტომსკის და რედაქტორს აზნაურს ალექსანდრე სტოლიპინს პირველი გაფრთხილება.

◆ ტირასპოლის მაზრაში, ს. პავლოვკაში ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის თაობაზე ოდესის სასამართლო პალატამ გადაუწყვიტა: ათ კაცს საპყრობილეში დაპატიმრება თითო წლით, ერთს—სატუსაღო რაზმი ნახევარის წლით, 14 კაცი გაამართლა.

პრესსა

29 სექტემბერს სწორედ 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დედათა უმაღლესი კურსები დაარსდა. კურსების დაარსებამდე ქალები კარგა ხანს სცდილობდნენ უმაღლეს განათლების მიღებას. აი, რასა სწერს „პეტ. ვედ“.

პირველად უნივერსიტეტის ლექციებზე ქალები 1860 წელს გაჩნდნენ. რადგან ამათი რიცხვი თანდა თან მატულობდა, 1863 წელს საერო განათლების სამინისტრო დედათა უმაღლეს განითლების შესახებ შეეკითხა უნივერსიტეტების საბჭოებს. შემდეგ სამ კითხვაზე უნდა მიეცათ პასუხი საბჭოებს: 1. შესაძლებელია თუ არა, რომ ქალებმა ვაჟებთან ერთად ლექციებზე იარონ. 2. თუ შესაძლებელია, რომ ქალებმა ლექციებზე იარონ, მოსახერხებელია თუ არა, ქალებს ნება მიეცეთ სამეცნიერო ხარისხი მოიპოვონ. 3. იმ ქალებს, რომელნიც უნივერსიტეტის გათავების დიპლომს მიიღებენ, მიეცეთ თუ არა ის უფლებანი, რაც კაცებსა აქვთ. ორმა უნივერსიტეტმა, მოსკოვისა და დერპტისამ, სამსავე კითხვაზე უარი შეუთვალა და ამრიგად ქალთა უმაღლესი განათლება უარჰყო. მოსკოვის უნივერსიტეტის 25 პროფესორში მხოლოდ ორმა სცნო შესაძლებლად, რომ ქალები უნივერსიტეტში მიიღონ. კარგი პასუხი შეუთვალა სამინისტროს ოთხმა დანარჩენმა უნივერსიტეტმა—პეტერბურგისა, ყაზანისა, კიევისა და ხარკოვისამ.

კარგა ხანია გავიდა კიდევ, ვიდრე ქალები უმაღლეს განათლების მიღებას ეღირსნენ. 1868 წელს ა. ნ. ბეკეტოვის მეცადინეობით პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს გადაეცა პეტიცია, რომელზედაც 400 ქალს ეწერა ხელი. თხოულობდნენ ლექციების ან კურსების მოწყობას. პეტიციას, სხვათა შორის, ხელს აწერდნენ: ე. ი. კონრადი, ნ. ვ. სტასოვა, ვ. პ. ტარნოვსკაია, ე. ნ. ვორონინა, ა. პ. ფილოსოფოვა, მ. ვ. ტრუბნიკოვა, ო. ა. მორდვინოვა. მაგრამ გავიდა კიდევ ათი წელიწადი, ვიდრე საუკეთესო, მოწინავე ქალთა ღაღადისს ყურადღება მიაქციეს. მამაკაცთა შორის ამ საქმისთვის ძალიან ბევრი იშრომეს ა. ნ. ბეკეტოვმა, ს. ო. მილლერმა, ა. ი. გერდმა და ა. ნ. სტრანოლიუბსკიმ.

1875 წელს მთავრობამ, როგორც იყო, გამოსცა ბრძანება დედათა უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ თვით სასწავლებელი—პეტერბურგის დედათა უმაღლესი კურსები—დაარსდა, სამის წლის შემდეგ, 1878 წელს, 28 სექტემბერს. კურსების პირველ დირექტორად დაინიშნა კ. ნ. ბესტუჟევ-რიუმინი. ამისავე სახელი ეწოდა კურსებს.

თეატრი

ოპერა. 3 ოქტომბერს ამ სეზონში პირველად წარმოადგინეს ბიზეს ოპერა „კარმენ“. ეს შესანიშნავი ოპერა ყოველთვის მრავალ მსმენელს იზიდავდა ხოლმე თეატრში, მაგრამ ამ საღამოს როგორღაც უღალატეს „კარმენ“-ს და თეატრი ნახევარზე ცარიელი იყო. ბ. ესპოზიტოს ხელოვნურ დარიჟორობით შესამჩნევი ნაკლი არა იყო-რა „კარმენ“-ის წარმოდგენაში. თითქო ერთიანი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ დასამალი არ არის, რომ თუ ქალებში არა, კაცებში უკეთესი არტისტები ჰყავს ფიგნერს და იმათ შორის რომ გაენაწილებინა ზოგიერთი პარტიები—გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა. მიკვირს, ვინ ურჩია ამირჯანს სცენაზე გამოსვლა. ჯერ იმის ხმა იმდენად განუვითარებელია, რომ ბევრი მუშაობა უნდა. გარდა ამისა არც თამაშობა უვარგა. ამისათვის ესკამილიოს პარტია უფერულად აასრულა. კარმენის პარტია იმღერა ქალ. კარრიმ, რო-

მიანსავით მოუთმენლად მოველოდი იმ ჟამს, როდესაც გადავეხვევოდი ჩემს სამშობლოს, დავსტკბებოდი შესანიშნავის ჰაერით, გავიგონებდი იმ იდუმალ ხმას, ოცნებას, ნატვრას, რომელიც სუსტად მოაღწევდა შორს უცხოეთამდე… მოვედი და ყველაფერი გაჰქრა, ჩემი ოცნება და იდეალი დაიმსხვრა. ხელში შემრჩა მხოლოდ ლამაზი, მაგრამ უსულო, უსისხლო არსება, იმდენად არსება კი არა, რამდენად ნივთი.

„კულტურა აღარსად არის, მაჯა არ სცემს, სიცოცხლე მიყუჩებულა. ცივა უფრო, ვიდრე პეტერბურგში ოცდახუთი გრადუსის სიცივის დროს; იქ ცივს ჰაერს ათბობდა ადამიანის გული, აქ თბილს და ცხელს ჰაერს აცივებს, ყინვად ხდის ადამიანის გული. და ეს ჩემი ქვეყანა აღარ მიმაჩნია ჩემად, იგი უცხოა ჩემთვის, ვერაფერს საერთოს ვერ ვპოვებ მასთან; არამც თუ არ მომწონს, არ მიყვარს, მეზარება, თითქოს შემძულდა კიდეც, მინდა დაუყოვნებლივ მოვშორდე აქაურობას, გავიქცე ქუდმოგლეჯილი. შეიძლება ეს ძლიერ ცუდიც იყოს, მაგრამ არ შემიძლია არ აღვიარო, რომ ჩემი მშობელი, ჩემი სამშობლო ქვეყანა, ჩემი დედა-ენა, თეატრი, საზოგადოება—ისე უცხონი არიან ჩემთვის, ისე უცხონი, რომ თითქოს ვეჰვობ, განა ისინი ჩემნი იყვნენ ოდესმე?…

„და ეხლა სხვას ვოცნებობ, ვოცნებობ პეტერბურგის ჰაერზე, პეტერბურგის საზოგადოებაზე, იქაურ ცხოვრებაზე. წარმოიდგინეთ, პეტერბურგელ მეეტლესთანა საზიზღარი ხომ არაფერია დედამიწაზე, მაგრამ ამ წუთას რომ აქ დავინახო, სიხარულით შევხედავ და უფრო იმის ეტლში ჩავჯდები, ვიდრე აქაურში, თუმცა აქაური მეეტლეც და ეტლიც თავისთავად გაცილებით უმჯობესნი არიან…“

**

კიდევ ბევრი მელაპარაკა ჩემი ნაცნობი ამ საგანზე, მაგრამ ზემო მოყვანილიც საკმარისია. ჩემი ნაცნობის ნალაპარაკევში ერთი აზრია გატარებული, ერთი მწუხარებაა გამოთქმული: ეს არის ჩვენის ცხოვრების სუსტი მაჯა, ჩვენი ჩამორჩენა. არ შემიძლია არ დავეთანხმო ამის შესახებ ჩემს ნაცნობს. მაგვარი მწარე ფიქრები მოუვა ყველას თავში, ვინც ჩაუკვირდება ჩვენს ცხოვრებას. მით უმეტეს გასაგებია მისი გრძნობები, რომ უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ უფრო შეეძლო დაენახა ყველაფერი, ვიდრე ჩვენ, აქ მცხოვრებთ, რომელნიც, საუბედუროდ, შევეჩვიეთ ბევრს ისეთს რასმე, რასაც არ უნდა შევჩვევოდით.

ეს მართალია და ამისათვის საყვედურს ვერავინ ეტყვის ჩემს ნაცნობს. გასაგებია მისის სულისმდგომარეობა უფრო კულტურულ ცხოვრებიდან უფრო დაბალის კულტურის წრეში შემოსვლის შემდეგ. ტფილისი პეტერბურგი არაა; იქაურ ცხოვრებას მიჩვეული ადამიანი აქ მოიწყენს. რასაც ჩემი ნაცნობი გრძნობს ეხლა, იგი უგრძვნია არა ერთს და ორს…

მაგრამ არის საგნის მეორე მხარე, ანუ უკეთ ვთქვათ, მთელი მეორე საგანი. უნდა ავიღოთ იმის მდგომარეობაც, ვინც ჩვენ მოგვაწყენს, არ გვაკმაყოფილებს და გვეუცხოება. უნდა შევიდეთ იმის მდგომარეობაშიაც, ვისაც სუსტად უცემს მაჯა, ვინც არ ცხოვრობს, თუ ვერ ცხოვრობს ისე, როგორც ჩვენ გვეამებოდა. ჩვენ ვუსაყვედურებთ სამშობლო მხარეს, რომ იგი ჩამორჩენილია და დაცემულია, მაგრამ მეტის უფლებით შეუძლია მოგვმართოს საყვედურით მშობელმა ქვეყანამ და ერმა: „ღატაკი ვარ, შიშველი, მშიერი, გაუნათლებელი, ცოცხალ-მკვდარი, ამისთვის გეზიზღები და გარბიხარ ჩემგან? ლამაზი რომ ვყოფილიყავი, მდიდარი, კულტურით და სიცოცხლით სავსე, მაშინ შემიყვარებდი და მომეალერსებოდი? მაგრამ რომლის უფლებით, რომლის სამართალით შემიძულებდი პირველ შემთხვევაში და შემიყვარებდი მეორე შემთხვევაში? რადა მთხოვ, რაც არ მოგიცია, და რად მიგაქვს ის, რაშიაც წილი არ გიძევს? ძლიერი რომ ვიყვე და სიცოცხლით მომხიბლავი, მაშინ ხომ უცხო და გადამთიელიც მომიწონებდა და შემიყვარებდა, მაგრამ შენ, ჩემგან შობილს და გაზრდილს, მეტი არ მოგეთხოვება? შენ არ გაქვს ჩემდამი მოვალეობა? მოვალეობა შობილისა, მოქალაქისა?

„რომ გარბიხარ,—რად? სად? მე მშიერი ვარ, ღატაკი, შიშველი, ვინლა შემმოსავს, თუ მიმატოვებენ შვილები, რომელთაც უნდა შემმოსონ მე! გაუნათლებელი ვარ და უკულტურო, ვინ გამანათლოს, თუ თქვენ, ჩემგან შობილნი, რომელნიც განათლდით, არ იქნებით ჩემთან და არ ეცდებით ჩემს განათლებას? გინდათ, რომ თქვენი მშობელი არ იყოს ასე დაცემული, დამონებული, ძლიერად ცემდეს მისი მაჯა, მაგრამ როგორ ავმაღლდე, თავისუფლად ამოვისუნთქო, როდესაც არ გინდათ ჩემთვის იღვაწოთ და იბრძოლოთ. გინდათ გავმდიდრდე, ავყვავდე! დაღვარეთ ცრემლი და ოფლი ჩემს გულზე, და მე აღვყვავდები!..

„რამდენად უფრო სუსტი ვარ, ჩამორჩენილი, უსიცოცხლო, იმდენად უფრო უნდა გიყვარდეთ, იმდენად უფრო უნდა ვიზიდავდე ყოველს თქვენგანს. აი, აქ გამოჩნდება თქვენი ადამიანობა, რომ თავი დადვათ, უკანასკნელ წუთამდის იშრომოთ და იომოთ, რომ თქვენი მშობელი ქვეყანა და ერი მომავალ თაობისათვის მაინც შეიქნეს ლამაზი, განათლებული და სიცოცხლით სავსე! გადასცეთ შემდეგ თაობას უკეთესი, ვიდრე მიგიღიათ წინა თაობისაგან. სიცოცხლე და არსებობა დღეს არ იწყება. თვალი გადაავლეთ რამდენსამე საუკუნეს. თქვენი წინაპრები სისხლით იცავდნენ მამულს და ერს, ნუ თუ თქვენ მოვალეობა არა გაქვთ მათ წინაშეც და არ უნდა დაიცვათ ოფლით მათ მიერ სისხლით დაცული“?…

**

აქ-კი ვეტყვი საყვედურს ჩემს ნაცნობს, აქ-კი შევუერთდები სამშობლოს ხმას მის წინააღმდეგ. სწორედ არავის არა აქვს უფლება გაექცეს თავის მშობელს ერს, იმიტომ, რომ იგი (ერი) უკულტუროა. კიდევ უფრო მეტად მოითხოვს ეს უკულტურობა, რომ ყოველი შვილი ერისა მხოლოდ და მხოლოდ თავის ერს ემსახუროს. აქ პირადი სიამოვნება დავიწყებული უნდა იქნეს. გმირობა ის კი არ არის, განათლებულ საზოგადოებაში იმუშაო. მოსაწონი ის იქნება, რომ იქ ვიმოღვაწეოთ, სადაც წრე გაუნათლებელია და ათასი ხელის შემშლელი პირობები გველობება წინ. ყოველი განათლებული, მცოდნე, მშრომელი ადამიანი ძალაა ჩვენის ღარიბის და უძლურის ქვეყნისათვის და ყოველ მხრიდან უნდა გამოეშურნენ აქეთ ქართველი განათლებული პირები და კი არ უნდა გაიქცენ აქედან! თუ მათ ძალუძთ შრომა, აქ უნდა იშრომოთ. თუ მათ სწადიათ საზოგადო საქმე, საზოგადოების სამსახური, სამშობლო ქვეყანას და ხალხს ემსახურონ. აქაური პატარა და დაბალი ადგილი უნდა ურჩევნოდეთ სხვაგან დიდსა და წარჩინებულს ადგილს. მაშინ ჩვენის ქვეყნის მაჯაც ძლიერ დაიწყებს ცემას, ცხოვრების გრადუსიც აიწევს.

დღევანდელ ჩვენის ცუდ და არა სასიამოვნო ცხოვრებიდან გაქცევა კი მხდალობა იქნება!…

**

ტფილისში სასულიერო სემინარიის გვერდით ერთი უბრალო ევროპიული ყავახანაა, რომლის კედლებზე ორ ალაგას შემდეგი საყურადღებო განცხადებაა გაკრული: „რათა არ შეურაცხჰყოთ მოსამსახურენი, უმორჩილესად გთხოვთ ნურაფერს ნუ აჩუქებთ მათ“.

პირველად ვნახე ასეთი განცხადება. გამიკვირდა და ძლიერ მიამა. განცხადება რუსულად იყო დაბეჭდილი და არ მეგონა, რომ ქართველი გამოიჩენდა ასეთს ზნეობრივ სიმაღლეს. აღმოჩნდა, რომ ყავახანის პატრონი გურულია… მაგრამ ეგ გურული ერთი მაგალითია ჩვენში და მისი განცხადება მწარ ირონია უფროა ჩვენს ცხოვრებაში. განა ჩვენ ვიცით, რა არის შეურაცხყოფა, ზნეობრივი დამცირება ადამიანისა? ჩვენ ხომ არამც თუ ადვილად ავიტანთ ყოველგვარ შეურაცჰყოფას, კიდეც ვაქეზებთ, თითქმის ვემუდარებით, რომ უფრო-და-უფრო შეურაცხგვყონ!….

როდესაც ადამიანი, ერი თავმოყვარეობას რგავს, იგი ყველაფერს ჰკარგავს!

სიტყვა.

მელსაც ხმა მაღალ ჰანგებში კარგი აქვს, ხოლო შუა და დაბალში ცოტა მოიხრინწიანებს. საზოგადოდ კარგად აასრულა თავის პარტია, თუმცა მეორე მოქმედებაში ცოტა სიმკვირცხლე აკლდა. ქალ. კარტავინამ არიოზო მესამე მოქმედებაში უკეთ იმღერა და მაღალ ჰანგებში სიფრთხილით მღეროდა. ამიტომ ისეთი ლითონისებური კივილი აღარ ისმოდა. კარგი იყო დარსკი დონ-ხოზეს პარტიაში. მართალია დრამატიული ტენორი არ არის, ხმა რიხიანი არა აქვს, მაგრამ გემოვნებით და ცოდნით იმღერა მეორე და მეოთხე მოქმედებაში. არტისტს აქვს გრძნობა, ტემპერამენტი და ნიჭი. მეოთხე მოქმედებაში გამოიჩინა ხელოვნება თამაშობისა.

—

დღეისთვის ქართულ თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. წარმოდგენა იაფ-ფასიანია.

—

თავად სუმბათაშვილის ახალ პიესას „მოღალატე“-ს, რომლის შინაარსიც საქართველოს წარსულ ცხოვრებიდან არის აღებული, მოსკოვის „პატარა თეატრში“ წარმოადგენენ 19 ნოემბერს.

—

ცნობილი არტისტი ქალი კამისარჟევსკაია ერთის თვით ბაქოში მიუწვევიათ ადგილობრივ ანტრეპრენებს კრუჩინინსა და საბუროვს.

—

გამოჩენილი არტისტი ქალი სარრა ბერნარი ამ ზამთარს პეტერბურგს ეწვევა. ბერნარს აზრადა აქვს 15 წარმოდგენა გამართოს პეტერბურგის „პატარა თეატრში“.

—

პეტერბურგის ორ თეატრში რეცენზენტებისთვის განსაკუთრებული კაბინეტები გაუმართავთ. კაბინეტები კარგადაა მოწყობილი, სტოლებზე საწერ-კალამია, ასე რომ რეცენზენტს იქვე შეუძლიან რეცენზია დასწეროს ან შენიშვნები მაინც დაიმზადოს.

სასამართლო

I

ყალბი ფულის მოჭრა

2 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სოფელ დიღმის მცხოვრების გიორგი მარიამაშვილისა (იგივე ლეკიშვილი), რომელსაც ყალბ ფულის მოჭრა და გასაღება ჰბრალდებოდა. პოლიციას ამ რამდენისამე თვის წინად მარიამაშვილისათვის ავლაბარში მიუსწრია სახლში იმ დროს, როცა იგი ფულსა სჭრიდა. იქვე უნახავთ ფულის საკეთებელი მანქანა და სხვა მოწყობილებანი. სასამართლოში ბრალდებული მარიამაშვილი გულწრფელად გამოტყდა და განაცხადა შემდეგი: მე ერთი ღარიბი კაცი ვარ და ან რა მომაფიქრებინებდა ყალბი ფულის კეთებას და ან სად შემეძლო მომეპოვებინა ყოველივე მასალა ფულის დასამზადებლად. ჩემი დანაშაულობა მხოლოდ ის არის, რომ სხვის რჩევას ავყევი. პოლიციის საიდუმლო აგენტი, ვიღაც გორელი (სახელი და გვარი არა სცოდნია) ჩამაცივდა, რომ თუ ამ ხელობას დაიწყებ, მე ყველაფერში ხელს მოგიწყობო. რამდენჯერმე უარი განვაცხადე, მაგრამ მაინც თავიდან ველარ მოვიშორე. ერთხელ დამათრო და ამიხსნა, როგორ უნდა ფულის კეთება და თანაც მომიტანა ფულის საკეთებელი მანქანა და ყოველივე მასალა. პირველად გავაკეთე 25 ვერცხლის მანეთიანი, რომელიც თვით აგენტმა წაიღო. შემდეგ დავანებე თავი, მაგრამ დამემუქრა, შენგან მოჭრილ 25 მანეთს პოლიციას გადავცემ და შენს თავს დავაჭერინებო. მეც შევცდი და დავიწყე ფულის კეთება, რომლითაც უმთავრესად ის ჩემი შემაცდენელი სარგებლობდაო.

სასამართლომ ბრალდებულის ჩვენება ირწმუნა და მოწმეებს აღარ გამოჰკითხა საქმის ვითარება. სასამართლომ მარიამაშვილს ამ დანაშაულობისთვის გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და კატორგაში 4 წლით გაგზავნა.

II

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად ნაფიც ვექილის თანაშემწემ ივანე ახუმოვმა რევოლვერი ესროლა თავის დედინაცვალს, მაგრამ ტყვია შემთხვევით ააცდინა. სასამართლომ მაშინ ახუმოვი სულით ავადმყოფად იცნო და საავადმყოფოში მოთავსება გადაუწყვიტა. ბრალდებულის ნათესავთა თხოვნით, ოლქის სასამართლომ ამ დღეებში მეორედ შეამოწმა ახუმოვი. რადგან ეხლაც გამოირკვა, რომ ახუმოვი სულით ავადმყოფია, სასამართლომ დაადგინა დასტოვოს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იგი, თანახმად სასჯელთა დებულების მე-95 მუხლისა.

III

დღეს, 5 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია უფროს თავმჯდომარის ვრასსკის თავმჯდომარეობით მიემგზავრება ბაქოში საქმის განსახილველად. სესია ბაქოში დაჰყოფს 8 ოქტომბრამდე.

დაბა-სოფლები

ს. ეწერი (სამეგრელო). ეწერში სამასამდე კომლია. ჩვენი სოფელი, ისევე, როგორც მთელი სამეგრელო, სიმინდის მოყვანას მისდევს მხოლოდ. ყოველგვარი მოთხოვნილება სიმინდით უნდა დაკმაყოფილოს. როგორც თქვენ გაზეთშიაც იყო რამდენჯერმე მოხსენებული, ეს ორი წელიწადია, რაც მთელ სამეგრელოში სიმინდის მარცვალს რაღაც მატლი გაუჩნდა, რომელიც შემდეგ პეპლად იქცევა ხოლმე. ეს პეპელა მარცვლიდან გამოდის და იქვე დაფრინავს. თუ საწისქვილოდ დამზადებულ სიმინდს ერთი დღე დააგვიანდა, სულ ერთიანად ფუჭდება. ერთის სიტყვით, მთელი სამეგრელო უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. კიდევ კარგი, რომ შარშან სიმინდის მოსავალი ძლიერ კარგი იყო. ამის გამო ვისაც ათი ურემი სიმინდი ჰქონდა, ამაში ორი ურემი მაინც გამოირჩეოდა ხეირიანი. წელს სიმინდის მოსავალი ძლიერ ნაკლებია. ვისაც შარშან ოცი ურემი სიმინდი მოუვიდა, ის წელს სამ ურემსაც აღარ მოელის. რაც არის, ისიც ფუჭდება და ლპება მინდვრებში, რადგან ერთთავად სწვიმს და სიმინდებში მუხლამდის წყალი სდგას. როგორც ამბობენ, მატლი წელსაც გაჩენია სიმინდებს და თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ მთელმა სამეგრელომ უნდა გუდა-ნაბადი აიკრას და სხვაგან წავიდეს ლუკმა-პურის საშოვნელად. ყურძენიც სულ გაფუჭდა. ვისაც წინა წლებში სამოცი თუ მეტი ფუთი ღვინო მოსდიოდა, იმას წელს აღარ მოსდის არც ერთი ფუთი ღვინო.

ამ მოუსავლობას ცუდი გზებიც ზედ ერთვის. არა მგონია იყოს სადმე ასეთი ცუდი გზები, როგორიც ამ დალოცვილ ეწერშია. ბევრჯელ ითხოვეს, მაგრამ გზებს არა ეშველა-რა. ეწერში ზოგი აზნაურია, ზოგი მღვდლის შვილი, ზოგი რაიმე თანამდებობის მქონეა სოფლად. ამ სოფლის მოხელეებს ზოგს გაყრილი ძმა ჰყავს, ზოგს ბიძაშვილი, ზოგს ნათლია და ასე და ამგვარად იმათაც შეღავათი აქვთ გზის მუშაობაში, ასე რომ მთელ ეწერში ორმოცი ურემი აღარ გამოდის გზის სამუშაოდ. ესენიც გაყოფილნი არიან ორ-სამდასად, ზოგს უნდა ერთი გზა გააკეთოს, ზოგს კიდევ—თავის უბნის გზა.

პ. ეწერელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ოქტომბერი

ტოკიო. საშიში ხმები რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის შესახებ გაზვიადებულია. გარეშე საქმეთა მინისტრის თხოვნის გამო იაპონიის პრესსა ახლანდელ საქმეთა მდგომარეობას არ ეხება.—2 ოქტომბერს მინისტრ-პრეზიდენტს, საზღვაო, სამხედრო, გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს თათბირი ჰქონდათ. საქმის კარგად მცოდნე წრეები იმ აზრისანი არიან, რომ იაპონია დაბეჯითებით მოითხოვს, რუსეთმა შეასრულოს თავისი დაპირება. თათბირზე მიიღეს რეზოლიუცია, რომ იაპონია არაფრის გულისთვის ისეთის მოქმედების ნებას არ მისცემს რუსეთს, რომელიც საშიშარი იქნება კორეიის დამოუკიდებლობისათვის.

სოფია. სარაფოვის სიკვდილის შესახებ აქ არაფერი ისმის.

პარიჟი. იტალიის მეფე-დედოფალი და პრეზიდენტი ლუბე ოპერას დაესწრნენ.

ბელგრადი. დეკემბრის დასაწყისში მეფე პეტრე ვენასა და ბერლინში წავა.

პეკინი. ინგლისის მისიაში ნადიმის დროს უნდოდათ იმ შენობის აფეთქება, რომელშიაც ინახებოდა მისიის დასაცველად ასაფეთქებელი ნივთიერება. გაყვანილი იყო მავთული ელექტრონის ბატარეიასთან შესაერთებლად, მაგრამ რაღაც მიზეზით აფეთქება არ მოხდა.

ბრიუსელი. შაქრის საქმეზე დანიშნულმა კომისიამ სახეში მიიღო განცხადება, რომელიც რუსეთმა უნდა წარადგინოს. ცვლილება აკმაყოფილებს სხვა სახელმწიფოებსაც.

გროდნო. ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება და უბოძა ათასი მანეთი ბელოვეჟის ახლოს მდებარე ადგილების ღარიბ მცხოვრებთ.

ორიოლი. საერობო კრებამ დაადგინა, დაარსოს ეკონომიური საბჭო ხალხში სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა განსახორციელებლად დ გადასდო 4 ათასი მანეთი, რომელიც უნდა მიეცეს გლეხებს ცხენების შესაძენად.

პეტრეზავოდსკი. კარგოპოლის საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, დარჩეს არსებული ცენზი, რადგან ცენზის შემცირებით შეიძლება საარჩევანო კრებებზე არა სასურველი ელემენტები მოხვდნენო.

ტიხვინი. საერობო კრებამ აღძრა შუამდგომლობა პეტერბურგის უნივერსიტეტთან საექიმო ფაკულტეტის დაარსების თაობაზე.

ვილნო. დაარსდა საპოლიციო დარაჯთა სკოლა. ეს სკოლა რუსეთში პირველია.

ხვოლინსკი. საერობო კრებამ დაადგინა: საარჩევნო წოდებრივი უპირატესობა უნდა მოისპოს; მონაწილეობის მიღების ნება უნდა მიეცეს ყველას, ვინც საერობო გადასახადის მინიმუმს იხდის, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დესეტინა მიწა აქვს იმას. არჩევნები სოფლის საზოგადოებებში 1864 წლის დებულებით უნდა მოხდესო.

4 ოქტომბერი

როსტოვი-დონზე. როგორც ქალაქის თავი გვაუწყებს, ამბავი მასზე თავ-დასხმის შესახებ და ამის მიზეზი სწორი არ არის. მდივნისა და ეგზეკუტორის მეოხებით თავ-დასხმა ვერ მოახერხეს. დამნაშავე შეპყრობილია და სასჯელთა დებულების მე-275 მუხლის ძალით პასუხის გებაშია მიცემული.

ელაბუგა. ივანე პეტრეს ძე უშკოვმა ერობას შესწირა ხუთი შენობა სასწავლებლებისათვის თავისი მოწყობილობით.

ბორისოგლებსკი. ერობამ წოდებათა უთანასწორობის პრინციპი საჭიროთ იცნო, საარჩევნო ცენზად 76 დესეტინა დაადგინა, გამოსთქვა სურვილი, რომ ქალებსაც მიეცეს საარჩევნო უფლება.

სოფია. 3 ოქტომბერს ოსმალეთის კომისარმა ფერუხ-ბეიმ ბოდიში მოიხადა კარამანიცში მომხდარ ინციდენტის შესახებ; განაცხადა, რომ დამნაშავენი დავსაჯეთო. ის ბატალიონი, რომელიც ბოლგარიის ტერრიტორიაში გადავიდა, გადაყვანილია სხვა მხარეს. ბოლგარიის თავადმა გაგზავნა თავისი დიამბეგი ტირნოვოში მომხდარ ამბავის შესახებ ცნობების შესაკრებად. როგორც ვიცით, ტირნოვოში სტამბულოვის მომხრეთ შეტაკება მოუხდათ მოქალაქეებთან და ბევრი დასჭრეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

თვეში 2 მანეთად

ახლად გაღებულს სკოლაში ვასწავლი ჭრაკერვას და ყოველნაირ მშვენიერ ხელსაქმესა. ვიყვანთ პანსიონერკებს. მეცხრე ნაწილი, ავჭალის ქუჩიდან, ანტონევის ქუჩა № 3.

(3—156—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის უმთავრესს სამკურნალოსთან (მუხრანის ქუჩა) ბებია-ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელმა საზოგადოებამ დააწესა ბებია-ქალთა მორიგეობა დღისით და ღამით. ბებია-ქალთ პირველი შემწეობა უნდა აღმოუჩინონ მშობიარეთ და ფეხ-მძიმეთ. ყოველ რჩევისა და შემწეობისათვის აიღებენ ერთ მანეთს. ეს ფული გადაეცემა ხსენებულ ბებია-ქალთა საზოგადოებას, რომელმაც ასეთივე მორიგეობა დააწესა საბებიო ინსტიტუტთან. (3—6.—3)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

იბეჭდება ახალი გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებისა“

საქართველოს კალენდარი

ვალ. გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქმნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქმნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., ნახევარ გვ.—6 მან. წიგნის ბოლოში—1 გვ.—6 მან., ნახევ. გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში (Общество грамотности), ქუთაისში—ვ. ბექანეიშვილთან და მიტრ. ლალიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქმნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე, გარდა საეკკლესიო ცნობებისა, აღნიშნული იქმნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილ იქმნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ-ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები. (10—6.—4)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გააიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

Дозв. ценз. Тифлисъ 4 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).